



გენდერული ნიშნით ძალადობა ქვემო ქართლში

ოჯახში ძალადობა, ნაადრევი ქორწინება, დისკრიმინაცია

2017
რუსთავი



USAID
 ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
 საქართველოში (PROLoG)

წინამდებარე ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის “კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) მიერ დაფინანსებული პროექტის „იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სერვისები ქვემო ქართლში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასთან (სიფა) პარტნიორობით.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

ანგარიშზე მუშაობდნენ:

თეონა კილაძე

ზვიად დევდარიანი

სარჩევი

1. შესავალი	5
1.1. პროექტის შესახებ	5
1.2. მთავარი მიზნები და ტენდენციები	6
1.3. კვლევის მეთოდოლოგია	8
2. კვლევის აღწერა	10
2.1 შერეული ორდერები	10
2.1.1 საკანონმდებლო რეგულაცია	10
2.1.2 პოლიციის შუამდგომლობით გამოცემული შერეული ორდერები	10
2.2 დამცავი ორდერები	12
2.2.1 საკანონმდებლო რეგულაცია	12
2.2.2 დამცავი ორდერების გამოცემაზე სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევები	12
2.3 სისხლის სამართლის საქმეები ოჯახში ძალადობის ფაქტებზე	17
2.3.1. საკანონმდებლო რეგულაცია	17
2.3.2. სისხლის სამართლებრივი დენის დაწყება ოჯახური ნიშნით. ჩადენილ დანაშაულებზე	18
ა) გამოძიების დაწყება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე	
ბ) გამოყენებული აღკვეთი ღონისძიებები ოჯახში ძალადობის საქმეებზე	
გ) გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობის საქმეებზე	
დ) სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტა დაზარალებულის განცხადების გამო	
2.3.3 გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები და სასჯელები	20
2.3.4 სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტა დაზარალებულის განცხადების გამო	24

2.4.	ნაადრევი ქორწინება	25
2.4.1	საკანონმდებლო რეგულაცია	25
2.4.2	ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის შემთხვევები 16 წელს მიუღწეველ არასრულწლოვნებთან	25
2.4.3	გამოყენებული სასჯელები ნაადრევი ქორწინების საქმეებზე ...25	
2.4.4	არასრულწლოვანთა თავისუფლების უკანონო აღკვეთა	27
3.	რეკომენდაციები	29

1. შესავალი

1.1 პროექტის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასთან (სიფა) პარტნიორობით, 2016 წლის 15 იანვრიდან, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამა საქართველოში“ მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სერვისები ქვემო ქართლში“. პროექტის მიზანია იურიდიული დახმარების და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით, ეთნიკური და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, ნაადრევი ქორწინებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების ინტერესების დაცვა.

პროექტის ფარგლებში, შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და სხვადასხვა თემაზე ბენეფიციართა პროაქტიული ინფორმირების მიზნით, გაიმართა შეხვედრები როგორც მუნიციპალიტეტებსა და „ქალთა ოთახებში“, ასევე სოფლის თავშეყრის ადგილებზე, მაღაზიებსა და სილამაზის სალონებში. ამ ფორმით უშუალო კავშირი დამყარდა ქალებთან პრობლემის აღმოჩენისა და იურიდიული კონსულტაციის განევის მიზნით. „სიდამ“ ერთი წლის მანძილზე ქვემო ქართლის რეგიონში სულ 668 ბენეფიციარს გაუწია იურიდიული კონსულტაცია. სასამართლოში წარმომადგენლობა განხორციელდა 38 შემთხვევაში; გარდაბნის, ბოლნისისა და დმანისის 29 სოფელში გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები და ბენეფიციარებს ადგილზე გაენიათ კონსულტაცია, მოხდა რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით მოსახლეობის ინფორმირება პროექტის მიმდინარეობისა და ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციისა და მსგავსი საკითხების შესახებ. გაიმართა არაერთი შეხვედრა პრობაციის სააგენტოს, პრევენციის ცენტრთან, პროკურატურისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან პროექტის მიმდინარეობისას წარმოჩენილ პრობლემებთან დაკავშირებით.

1.2 მთავარი მიზნები და ტენდენციები

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებზე „სიდას“ დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია ოჯახში ძალადობის, ნაადრევი ქორწინებისა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემების საკანონმდებლო რეგულაციაზე. ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზებია რეგიონში არსებული ცნობიერების დაბალი დონე, ასევე ბენეფიციარების მხრიდან არსებული უნდობლობა სერვისების მიმღებლობის თვალსაზრისით.

შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებით მთავარ გამომწვევად მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულების შენარჩუნება და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობა გამოიკვეთა. კვლევის სამიზნე ჯგუფში შემავალი ქალები მიუთითებდნენ შემთხვევაზე, როდესაც მოძალადის მიმართ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი, თუმცა შემდგომ ეტაპზე საპოლიციო კონტროლი ხორციელდებოდა განმეორებითი ძალადობის ფაქტის გამოვლენაზე, ნაცვლად თავად მოძალადეზე მეთვალყურეობისა.

სასამართლო წარმომადგენლობის განხორციელებისას მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩინდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის მარეგულირებელი ნორმები. მაგალითისთვის, „სიდას“ ჰქონდა სამი ერთგვაროვანი საქმე, სადაც მოძალადე მხარეს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები. ოჯახში ძალადობის საქმეებზე იძულებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ნორმის არარსებობის გამო, მხოლოდ 1 შემთხვევაში განხორციელდა ნებაყოფლობითი ექსპერტიზა, თუმცა ესეც არ იქნა ბოლომდე მიყვანილი. მიზეზი იყო ის, რომ მოძალადეს ესაჭიროებოდა დამატებით ამბულატორიული ექსპერტიზა, რაზეც განაცხადა უარი და პრობლემა დარჩა მოუგვარებელი.

პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ფსიქოლოგის და სოციალური სამსახურის ჩართულობა განსაზღვრულია მხოლოდ მსხვერპლთათვის, ხოლო მოძალადე არ გადის არანაირ რეაბილიტაციის კურსს. მართალია, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის XX მუხლით განსაზღვრულია მოძალადეთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, თუმცა რეალურად ეს ნორმა არ

მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოძალადე პრობაციონერია.

ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემდეგ, სახელმწიფო თავშესაფარში მსხვერპლთა განთავსება, ხშირ შემთხვევაში, სრულად ვერ უზრუნველყოფს მათ სრულ რეაბილიტაციას, რადგან გარე საფრთხეები რჩება, რაც კვლავ ძალადობის მსხვერპლად ქცევის რისკს წარმოშობს.

როგორც „სიდას“ მიერ წარმოებულ საქმეზე არსებული პრაქტიკა აჩვენებს, ნაადრევი ქორწინების მსხვერპლთა იდენტიფიკაციას ძირითადად სამოქალაქო რეესტრი ახდენს: როდესაც არასრულწლოვანი გოგონები აჩენენ შვილს, სამოქალაქო რეესტრი ინფორმაციას გადასცემს პოლიციას არასრულწლოვნის საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, რის შემდეგაც იწყება გამოძიება. რაც შეეხება სკოლების როლს ამ პროცესში, როგორც საინფორმაციო შეხვედრებმა გვაჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ, ამგვარი შემთხვევების გამოვლენისას, შეტყობინება გააგზავნონ შესაბამის უწყებებში, პრაქტიკა აჩვენებს, რომ რეალურად ეს მექანიზმი არ მუშაობს და შეტყობინება სწორედ სამოქალაქო რეესტრიდან კეთდება.

„სიდამ“ ერთი წლის მანძილზე 700-მდე ბენეფიციარს გაუწია კონსულტაცია და შეთავაზა იურიდიული დახმარება სასამართლოში წარმომადგენლობის გზით. ბენეფიციარები (როგორც ქალები, ასევე კაცები), საუბრობდნენ ეთნიკური, პოლიტიკური და გენდერული ნიშნით არსებულ მათ პრობლემებზე ისე, რომ არ იცოდნენ, რომ ეს იყო დისკრიმინაცია და მათ ჰქონდათ საშუალება მიემართათ სასამართლოსთვის. დისკრიმინაციული მოტივით სასამართლოსთვის მიმართვის ფაქტების არარსებობა ბადებს კითხვას - ხდება თუ არა საერთოდ დისკრიმინაციული ნიშნით საქმეთა გამოკვლევა ან შემდგომში ამგვარი კვალიფიკაცია.

გამოთხოვილი სტატისტიკის ანალიზისას გამოიკვეთა სასამართლოს მხრიდან არსებული პრობლემური მიდგომა აღკვეთის ღონისძიებებისა და სასჯელების მიმართ, როგორც ოჯახში ძალადობის, ასევე ნაადრევი ქორწინების საქმეებზე. სასამართლოს მხრიდან არ ხდება რისკებისა და საფრთხეების სწორად შეფასება, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებზე აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების, ან საპროცესო შეთანხმე-

ბის უპირობოდ დამტკიცების დროს. ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედ სასამართლოებში 2016 წლის მანძილზე განხილული ოჯახში ძალადობის 25 აღკვეთის ღონისძიების საქმიდან მხოლოდ 6 შემთხვევაში მოხდა პატიმრობის შეფარდება. 38 დასრულებული სისხლის სამართლის საქმიდან კი მხოლოდ 2 საქმეზე დადგა განაჩენი საპატიმრო სასჯელის გამოყენებით. დანარჩენ შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ჯარიმის ან პირობითი სასჯელის გამოყენებით. ნაადრევი ქორწინების 15 საქმეზე კი, ყველა შემთხვევაში დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება საპატიმრო სასჯელის გარეშე.

საგულისხმოა ოჯახში ძალადობის საქმეზე მიმართვისა (საპატრულო პოლიციის სტატისტიკით 348 შემთხვევა) და შემაკავებელი ორდერების დამტკიცების სიმრავლის ფონზე (საპატრულო პოლიციის მონაცემით 102 და სასამართლოს მიერ მონოლებული ინფორმაციით 269 შემაკავებელი ორდერი), დამცავი ორდერების სიმცირე; დამცავი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით შესულ 35 განცხადებაზე, სულ 25 დამცავი ორდერი დამტკიცდა.

ნაადრევი ქორწინების საქმეებზე დამკვიდრებული პრაქტიკა, პროკურატურის მხრიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმებით და სასამართლოს მხრიდან მისი დამტკიცებთ(მიუხედავად სსკ-ის მუხლის სიმძიმისა, თავისუფლების აღკვეთა -7დან 9 წლამდე ვადით) მიუთითებს დანაშაულის მიმართ არასათანადო დამოკიდებულებაზე.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ცხადყოფს ქვემო ქართლის რეგიონში ქალთა უფლებრივ მდგომარეობას და ამ კუთხით არსებულ პრობლემებს, რაც მნიშვნელოვანი იქნება როგორც სამართალდამცავი ორგანიზაციისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ასევე რეგიონში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

1.3. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები.

ანგარიშში მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია, „სიდას“ მიერ, საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილ იქნა ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე რუსთავის, ბოლნისი და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოებიდან, პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტებიდან.

პრობლემების გამოკვეთა და ამ კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევების შეჭერება მოხდა „სიდას“ მიერ ნაწარმოები საქმეების ანალიზით და ბენეფიციარებთან ინტერვიუებით, რა დროსაც, კონფიდენციალურობის დაცვით, ხდებოდა არაერთგვაროვან საქმეზე დამატებითი ინფორმაციის მიღება.

2. კვლევის აღწერა

2.1 შიშაპაპეაბელი ორდერები

2.1.1 საკანონმდებლო რეგულაცია

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან / დაფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით¹. ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. შემაკავებელი ორდერი მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. სასამართლო შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად წარედგინიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ორდერის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების შესახებ. შემაკავებელი ორდერის გამომცემი პოლიციის უფლებამოსილი პირის ან პროცესის მონაწილე სხვა პირის შესაბამის სასამართლოში გამოუცხადებლობა არაფერხებს ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის განხილვას და მასზე გადაწყვეტილების მიღებას.²

2.1.2. პოლიციის შუამდგომლობით გამოცემული შემაკავებელი ორდერები


როგორც მიღებული სტატისტიკა ცხადყოფს, ქვემო ქართლის რეგიონში საკმაოდ ბევრი მიმართვა განხორციელდა ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. წარდგენილი შუამდგომლობებიდან კი, ძირითად შემთხვე-

¹ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მუხლი 3.

² საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 21¹⁴

ვაში შემაკავებელი ორდერები დამტკიცდა, რაც დადებითი ტენდენციაა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საპატრულო პოლიციისა და სასამართლოს მიერ მონოდებული სტატისტიკური ინფორმაცია ერთმანეთს არ ემთხვევა. საპატრულო პოლიციის მიერ მონოდებული ინფორმაციით 348 მიმართვიდან, საპატრულო პოლიციის მხრიდან მხოლოდ 114 შემთხვევაში მოხდა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა, საიდანაც 102 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში დამტკიცდა 194 შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ 12, ხოლო ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ 63 შუამდგომლობა.

ცხრილი № 1 შემაკავებელი ორდერები



2.2 დამცავი ორდერები

2.2.1. საკანონმდებლო რეგულაცია

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ანდა მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში — ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.


დამცავი ორდერი გამოიცემა ნ თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.³

2.2.2 დამცავი ორდერების გამოცემაზე სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევები

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა ძალადობის მსხვერპლის მხრიდან ძირითადად ხდება შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემდეგ, თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი სასამართლოს პირდაპირ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართავს. 2016 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოში სულ შესული იყო 34 განცხადება დამცავი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით, საიდანაც დამტკიცდა 25, უარი ეთქვა 1 განმცხადებელს, განუხილველად დარჩა 6, შეწყდა 1 საქმე. განმეორებით მიმართა 1 განმცხადებელმა. თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში დამცავი ორდერის დამტკიცების თაობაზე არცერთი განცხადება არ შესულა. ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მიმართა 1 პირმა დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, რომელსაც უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

³ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მუხლი 12 ,11 ,10

ცხრილი № 2 დამცავი ორდერები



იმ ფონზე, როდესაც ქვემო ქართლის რეგიონში საპატრულო პოლიციას მიმართა 348 ადამიანი ოჯახური კონფლიქტის გამო, საიდანაც დამტკიცდა 102 შემაკავებელი ორდერი საპატრულო პოლიციის შუამდგომლობით, ხოლო 269 შემაკავებელი ორდერი სასამართლოს მონაცემებით, კითხვის ნიშანს აჩენს დამცავი ორდერების სიმცირე. ქვემო ქართლის რეგიონში სასამართლოს, ჯამურად, დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მიმართა -35 მა განმცხადებელმა, საიდანაც 25 შემთხვევაში დამტკიცდა დამცავი ორდერი.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვით მიმართეთ იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც „სიდა“ უწევდა იურიდიულ კონსულტაციას.

ნ.ჭ. არის შვილის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი. მისი შვილი არის ალკოჰოლზე დამოკიდებული, რომელიც სისტემატურად ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად და ეკონომიკურად ძალადობს მშობელსა და შშმ დაბე, თუმცა მისი ოჯახის წევრები გამოსავალს დამცავი და/ან შემაკავებელი ორდერის გამოცემაში ვერ პოულობენ. ნ.ჭ. მიიჩნევს, რომ მის შვილს სჭირდება ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კონკრეტული ღონისძიებები იმისათვის, რომ აღარ მიიღოს ალკოჰოლური სასმელი, რაც არის მისი ძალადობრივი ქცევის მაპროვოცირებელი.

— „ჩემი მოძალადე შვილი, მაინც ჩემი პრობლემაა, რადგან როცა შემაკავებელი ორდერი დამტკიცდა, მას სახლში მოსვლა და ჩემთან მოახლოება აუკრძალეს. დარჩა ქუჩაში ბევრი დაღია, აღარავის აღარ გაუკონტროლებია, ეგდო ესე დილამდე და დაემართა ფილტვების ანთება და სანანებელი გამიხადა, ისევე ჩემი სანვალელები გახდა მისი გამოჯანმრთელება, შვილია და ხომ ვერ მოვკლავდი, ამიტომ აზრი არ აქვს დამცავი ორდერის დამტკიცებაზე სასამართლოში განცხადების შეტანას“.

მართალია, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლით, „მოძალადის რეაბილიტაციის მიზნით დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს მის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას“, თუმცა პრაქტიკულად ეს არ ხორციელდება.

მ.რ. ქმრის მხრიდან ძალადობაზე:

„მე არ წავალ სასამართლოში დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, რადგან როდესაც შემაკავებელი ორდერის დამტკიცებაზე პოლიციას მივმართე (რაც დაამტკიცა სასამართლომ), მოვიდა უამრავი კაცი პოლიციელი, რომლებიც მისვამდნენ ისეთ შეკითხვებს, რომელიც არ იყო შემხებლობაში საქმესთან და მორალურად ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი, მე ვერ მივიღე ის დახმარება, რასაც ველოდი, ვერ ვიგრძენ თავი დაცულად. ამიტომ მირჩევნია ჩემით მოვაგვარო პრობლემა“.

მ.რ-მ ჩვენთან კონსულტაციის შემდეგ მიმართა პოლიციას შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა და სასამართლომ დაამტკიცა შემაკავებელი ორდერი. თუმცა მ.რ.-ს პრობლემა არ იყო ამით მოგვარებული და როდესაც გავიდა შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა კვლავ მოგვმართა დასახმარებლად. ჩვენ ვურჩიეთ დამცავ ორდერზე განცხადების შეტანა და ავუსხენით პრობლემის საკანონმდებლო მოგვარების გზები, თუმცა მან ზემოაღნიშნული მიზეზსი გამო უარი განაცხადა.

თ.ზ. ქმრის მხრიდან ძალადობაზე:

„ჩემი უბნის პოლიციიდან დამირეკეს, ქმარმა თუ კიდევ შეგანუხა დაგვირეკეო. მერე დამიბარა პოლიციელმა და დამიწყო გამოკითხვა ვისთან ძმაკაცობდა ქმარი. შემდეგ, მირეკავდა და ერთ-ერთ ქმრის მეგობარზე მეკითხებოდა რაღაცეებს: ვისთან მეგობრობდა, ჩვენთან თუ დადიოდა სტუმრად და ასე შემდეგ. სულ არ ვადარდებდით არც მე და არც ჩემი პრობლემა, აშკარად თავისთვის აინტერესებდა რაღაცეები. თან ისეთი შეურაცხმყოფელი იყო პოლიციაში მისვლა, ძალიან ვინანე, რომ საერთოდ დავრეკე 112-ზე. არც ერთხელ არ დაუბარებიათ ჩემი ქმარი პოლიციაში, მეტიც, როცა მივყავდით ცალ-ცალკე მანქანებით საპატრულოში, დედამჩემმა გაიგო როგორ არიგებდა ერთი-ერთი მათგანი ჩემს ქმარს თუ რა უნდა ელაპარაკა, რომ საქმე მისთვის კარგად დასრულებულიყო.“

„სიდას“ პრაქტიკაში იყო შემთხვევა:

მოგემართა ბენეფიციარმა ნ.გ.-მ, რომელიც ერთ-ერთ კომპანიაში წამყვან პოზიციაზე მუშაობდა. ნ.გ.-ს თანამშრომელმა უთხრა, რომ კომპანიის „პრივილეგირებულმა კლიენტმა“ პოლიციისგან შეიტყო, რომ ნ.გ. იყო ქმრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი, ამიტომ აღარ სურდა მომსახურება გაენია მისთვის, რადგან მას „თავის ოჯახში ვერ ჰქონდა საქმე დალაგებული“. როგორც „პრივილეგირებული კლიენტი“ აღნიშნავდა, იმის გამო, რომ სურდა გაეგო რატომ არ პასუხობდა ნ.გ. სატელეფონო ზარებს, მიმართა ნაცნობ პოლიციელს ინფორმაციის გადასამოწმებლად (რადგან იცოდა, რომ ნ.გ. ხშირად დადიოდა საზღვარგარეთ), რა დროსაც ნაცნობმა პოლიციელმა უთხრა, რომ ნ.გ. იყო ძალადობის მსხვერპლი ქმრის მხრიდან.

შემაკავებელი და დამცავი ორდერის დამტკიცებისას წარმოებულ ადმინისტრაციულ პროცესში პრობლემას წარმოადგენს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე სავალდებულო ნორმის არარსებობა, მაგალითისთვის:

„სიდა“ ახორციელებდა სასამართლოში ე.ს.-ს წარმომადგენლობას, რომელიც იყო ქმრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი, თუმცა სასამართლოს მსვლელობისას მოძალადე მხარემ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა ე.ს.-ს ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ე.ს. თავად იყო მოძალადე არასრულწლოვანი შვილების მიმართ. აღნიშნულ პროცესში არასრულწლოვანი გოგონების ინტერესების იცავდა „სიდა“-ს პარტნიორი „სიფა“-ს წარმომადგენელი, რომელმაც ე.ს.-ს მიმართ მოითხოვა ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა. სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა, თუმცა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ საჭირო იყო ამბულატორიული დაკვირვება, რაზეც ე.ს.-მ განაცხადა უარი და მეტიც, მან უკან გაიხმო განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე და არასრულწლოვან შვილებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა რუსთავიდან რაჭაში, რის შედეგადაც მოუგვარებელი დარჩა ერთი კონკრეტული ოჯახის პრობლემა და ვერ გახდა რეალური სურათის წარმოდგენა შესაძლებელი.

ბენეფიციარების გამოკითხვის და სტატისტიკური მონაცემის ანალიზით გამოიკვეთა მსხვერპლთა მხრიდან არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულება და უნდობლობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. გარდა ამისა, სახელმწიფო სარეაბილიტაციო პროგრამები არ არის პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული, რიგ შემთხვევებში კი, მსგავსი პროგრამები არც არსებობს. იკვეთება ასევე, პოლიციის წარმომადგენლების გენდერულად არასენსიტიური დამოკიდებულება, რასაც გასაუბრებისას აღნიშნავდნენ ბენეფიციარები, ასევე სასამართლო წარმოებაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები.

2.3 სისხლის სამართლის საქმეები ოჯახში ძალადობის ფაქტებზე

2.3.1 საკანონმდებლო რეგულაცია

„ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა ისტება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;
- ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
- გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- დ) პირთა ჯგუფის მიერ;
- ე) არაერთგზის, —

ისტება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე განთავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.⁴

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლი. შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.⁴


2.3.2. სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე

2016 წლის განმავლობაში, ქვემო ქართლის რეგიონში ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე დევნის მაჩვენებელი ასე გამოიყურება:

პროკურატურის მონაცემებით	შსს-ს მონაცემებით გამოძიების დაწყების მაჩვენებელი
126 ¹ — ოჯახში ძალადობა — 65 შემთხვევა	126 ¹ — ოჯახში ძალადობა — 175 შემთხვევა
11 ¹ -140 — სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან — 7 შემთხვევა	11 ¹ -140 — სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან — 39 შემთხვევა
11 ¹ -117 — ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება — 3 შემთხვევა	
11 ¹ -118 — ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება — 5 შემთხვევა	
11 ¹ -381 ¹ — შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175 ² მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ — 2 შემთხვევა	
11 ¹ -151 - მუქარა — 4 შემთხვევა	
11 ¹ -125 — რაც გულისხმობდა ცემას (2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით მუხლი ამოღებულია) — 5 შემთხვევა	
11 ¹ -144 ¹ — წამება- 1 შემთხვევა	
11 ¹ -126 — ძალადობა — 3 შემთხვევა (იგულისხმება პარტნიორის მიმართ ჩადენილი)	
11 ¹ - 150 — იძულება — 1 შემთხვევა	

11 ¹ - 108 — განზრახ მკვლელობა — 1 შემთხვევა	
	სსკ-143-ე მუხლი — თავისუფლების უკანონო აღკვეთა დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ - 10 შემთხვევა

ცხრილი № 3 სისხლის სამართლის დევნისა და გამოძიების დანაშაულის გრაფიკული მაჩვენებელი



2.3.3 გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები და სასჯელები


როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მოძალადესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება ხდება დაზარალებულის თანხმობით. ამ საკითხთან დაკავშირებით ბენეფიციარებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა: ერთ შემთხვევაში მსხვერპლი ვერ აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების სამართლებრივ შედეგს და არ იცის ზედმინენით მისი არსი, მეორე შემთხვევაში კი მსხვერპლისთვის აღარ აქვს მნიშვნელობა საპროცესო შეთანხმების გაფორმება-არგაფორმების საკითხს იმ ფონზე, როდესაც მოძალადეს გირაო აქვს შეფარდებული და თავისუფლად გადაადგილდება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში სულ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე შესული იყო 13 შუამდგომლობა, საიდანაც 7 შემთხვევაში განისაზღვრ აგირაო, ხოლო 6 შემთხვევაში — პატიმრობა.

თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში შესული იყო 7 შუამდგომლობა საიდანაც 2 შემთხვევაში შეწყდა, რადგან აღკვეთის სხდომაზევე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, 4 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა გირაო, 1 შემთხვევაში — შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. არცერთ საქმეზე არ იყო გამოყენებული პატიმრობა.

ბოლნისის რაიონულ სასამართლოში შესული იყო 5 შუამდგომლობა აღკვეთი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, საიდანაც ხუთივე დარჩა განუხილველი, რადგან აღკვეთი ღონისძიების სხდომაზევე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

ცხრილი № 4 გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები



რუსთავის საქალაქო სასამართლოში სულ განიხილებოდა ოჯახში ძალადობის 25 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 23 პირისმიმართ, თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა მხოლოდ 2 პირს.

თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში სულ იყო 8 სისხლის სამართლის საქმე ოჯახში ძალადობის ფაქტზე, საიდანაც 7 შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, 1 საქმე ამჟამად წარმოებაშია.


ბოლნისის რაიონულ სასამართლოში სულ იყო შესული ოჯახში ძალადობის 5 სისხლის სამართლის საქმე, ყველა მათგანზე გაფორმდ ასაპროცესო შეთანხმება, არცერთ შემთხვევაში არ იყო გამოყენებული საპატიმრო სასჯელი.

ქვემო ქართლში მოქმედ სასამართლოებში დასრულებული საქმეებიდან, ჯამში ოჯახში ძალადობის 38 სისხლის სამართლის საქმიდან მოძალადე ბრალდებულების მიმართ მხოლოდ 2 შემთხვევაში იქნა გამოყენებული საპატიმრო სასჯელი, მიუხედავად იმისა, რომ 6 შემთხვევაში მათ შეფარდებული ქონდათ პატიმრობა, ხოლო 7 შემთხვევაში გირაო, დანარჩენ შემ-

თხვევაში, ალკვეთი ღონისძიების სხდომაზევე მოხდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედ სასამართლოებს გამამართლებელი განაჩენი არ გამოუტანიათ.

ცხრილი # 5 გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობის საქმეებზე



ი.მ. ქმრის მხრიდან ძალადობის ფაქტზე:

“რათ მინდოდა ჩემი ცემის ხარჯზე ბიუჯეტში შესულიყო თანხა, რომელიც ჩემმა მოძალადე ქმარმა გადაიხადა გირაოს სახით და ისევ ჩემ შვილებს მოაკლდათ, რაღა მნიშვნელობა აქვს გაფორმდება თუ არა საპროცესო შეთანხმება, ეგ რა კანონია, როცა საჭირო იყო მაშინ არ მკითხეს არაფერი და აზრი არ ქონია ამ კანონს“.

პრობლემას წარმოადგენს სასჯელის ზომის არაადექვატურობა ჩადენილ ქმედებასთან მიმართებაში.

ნ.ბ.-ს ქმრის მხრიდან ხანგრძლივი ცემის შედეგად დაუზიანდა ცენტრალური ნერვიული სისტემა. მას უჭირს გადაადგილება და მიღებული სტრესის შედეგად ესაჭიროება მუდმივი მკურნალობა, თუმცა როგორც განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ: „ბ.ც. ეჭვიანობდა რა მისი მეუღლის — ნ.ბ.-ს მიმართ, მივიდა გარდაბნის რაიონში მცხოვრები სიმამრის საცხოვრებელ სახლში, სადაც მეუღლესთან და მის მშობლებთან კონფლიქტის დროს ბასრი კიდის მქონე საგნისა და ნაჯახის გამოყენებით ნ.ბ.-ს მარცხენა მტევნის მიდამოში ჭრილობის, ნ.ბ.-ს მამას თავის არეში ნაკვეთი და სკალპირებული ჭრილობების და ნ.ბ.-ს დედას თხემის მიდამოს დიდი ზომის ნაკვეთი ჭრილობის სახით მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.“ აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა 11¹-120-ე მუხლით,* როგორც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ოჯახური დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის მუხლზე მითითებით, რაზეც ბრალდებულის მიმართ სასჯელის ზომად განისაზღვრა 1 წლისა და 2 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ესეც მხოლოდ იმის გამო, რომ ბრალდებული იყო ნასამართლევი და ჰქონდა პირობითი მსჯავრი 6 (ექვსი) თვის ვადით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფაქტს ესწრებოდა ნ.ბ.-ს 5 წლის შვილი.

ნ.ბ. არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს თავშესაფარში, თუმცა თავშესაფარში ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ ის თვლის, რომ არის განწირული, რადგან არ არსებობს მისი დაცვის არანაირი საშუალება. მასზე განხორციელებული ძალადობის პერიოდში, ნ.ბ. არ ჰქონდა პოლიციაში დარეკვის შესაძებლობაც კი, ვინაიდან მოძალადემ წაართვა მობილური ტელეფონი.

* მუხლი 11¹. პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 137-ე, 141-ე, 143-ე, 144-ე, 144 3, 149-ე, 151-ე, 160-ე, 171-ე, 253-ე, 255-ე, 255 1, 381 1 და 381 2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით.

შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიმე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

სსკ 120-მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება: „ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო პრომისუნარიანობის უმნიშვნელო ანარამყარი დაკარგვა გამოიწვია, — ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სოფლებში საპატრულო პოლიციას გამოძახებიდან რეაგირებამდე სჭირდება დრო, რაც შესაძლოა სავალალო შედეგით დასრულდეს.

ბრალდების მხარის მიერ ხდება ქმედების არასწორი კვალიფიკაცია, როგორც ეს ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ჩანს. გარდა ამისა, დამკვიდრებული პრაქტიკით, მოძალადეები, რომელთა მიმართაც აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა, წინასასამართლო სხდომაზე აღიარებენ დანაშაულს, არ ხდიან სადაოდ მტკიცებულებებს, რის გამოც დაზარალებულ მსხვერპლს პროცესზე დასაკითხად აღარ იბარებენ. ამ პრობლემას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში აღარ წარმოადგენს მხარეს.

გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმებამ მიიღო ფორმალური ხასიათი, ხშირ შემთხვევაში თანხა ისევ დაზარალებულის გადასახდელია, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ხდება შვილის მხრიდან მშობელზე ძალადობა. ასევე, ხშირად დაზარალებულები თანხმობას აცხადებენ საპროცესო შეთანხმებაზე იმის გამო, რომ მოძალადეს გირაო აქვს შეფარდებული და ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს მსხვერპლზე. მსხვერპლს კი აღარ აქვს იმის რწმენა, რომ სასამართლო შეძლებს მისი პრობლემის მოგვარებას, რადგან მოძალადეს გირაო შეუფარდეს და აღარ მიდის დამატებით რისკზე და აცხადებს თანხმობას.

2.3.4. სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტა დაზარალებულის განცხადების გამო

2016 წლის განმავლობაში ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ქვემო ქართლის რეგიონში არ დაფიქსირებულა.

ამ საკითხზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისაუბრობენ, რომ დაზარალებულები ხშირად ურიგდებიან მოძალადეებს ან არ აძლევენ ჩვენებას სასამართლოზე ოჯახის წევრის წინააღმდეგ, რაც მათი უფლებაა და ამის გამო, ხშირად, ჩიხში შედის სისხლის სამართლის საქმე, თუმცა როგორც სტატისტიკიდან ჩანს 2016 წლის მანძილზე ამგვარი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

2.4 ნაადრევი ქორწინება

2.4.1. საკანონმდებლო რეგულაცია

სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, ისტე-ბა თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე⁵

2.4.2. ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის შემთხვევები 16 წელს მიუღწეველ არასრულწლოვნებთან

მიუხედავად სასჯელის სიმძიმისა, ქვემო ქართლის რეგიონში საკმაოდ ხში-რია ნაადრევი ქორწინების შემთხვევები, ძირითადად ეთნიკურ უმცირესო-ბებში. ფაქტების გამოვლენა, უმეტეს შემთხვევაში, ხდება სამოქალაქო რეესტ-რის მიერ მინოდებული ახალშობილის დაბადების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, რა დროსაც იწყება გამოძიება. თუმცა, რეალუ-რად ბრალდებულსა და დაზარალებულს ამ დროისთვის უკვე თანაცხოვრე-ბის საკმაო ხანი აკავშირებთ.

„სიდა“-ს პრაქტიკაში ხშირი იყო მიმართვა კონსულტაციისთვის კითხვებით, რა უნდა გაეკეთებინა არასრულწლოვან გოგონას, რომ მისი ქმარი არ დაე-ჭირათ, ან როგორ უნდა დაემალათ ქორწინების ფაქტი. ხშირ შემთხვევაში, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია საკანონმდებლო რეგულაციაზე. რამდენიმე არასრულწლოვანმა გოგომ ქმრისთვის სასჯელის არიდების მიზნით, გამო-სავალი სრულწლოვანების მიღწევამდე ბავშვის გაჩენის გადადებაში იპოვა.

2.4.3 გამოყენებული სასჯელები ნაადრევი ქორწინების საქმეებზე (სსკ-140-ე მუხლი)


ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედ სასამართლოებში განხილული 15 საქ-მიდან გირაო შეეფარდა მხოლოდ ერთ ბრალდებულს, დანარჩენ შემთხვე-ვებში პირველი წარდგენისთანავე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა ჯარიმა და პირობითი მსჯავრი.

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის -140ე მუხლი

არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა საპატიმრო სასჯელის გამოყენება, მიუხედავად მუხლის სიმძიმისა.

პრაქტიკა, რაც დამკვიდრებულია სსკ-ის 140-ე მუხლთან დაკავშირებით არ აძლევს საშუალებას არც ბრალდებულს და არც მსხვერპლს, გააცნობიერონ დანაშაულის არსი. როგორც წესი მსჯავრდებული კვლავ აგრძელებს თანაცხოვრებას დაზარალებულთან და დანაშაული გრძელდება, თუმცა ერთიდაიგივე დანაშაულისთვის განმეორებით პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით აკრძალულია. გამოდის, რომ ოჯახს უწევს მხოლოდ თანხის გადახდა კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო, რაც ისევ ოჯახის ტვირთია, ან უბრალოდ გამოსავალი ნაადრევი ქორწინების მსურველთათვის.

ცხრილი № 6 სსკ-140-ე მუხლზე გამოყენებული ალკვეთი ღონისძიებები და სასჯელები



2.4.4. არასრულწლოვანთა თავისუფლების უკანონო აღკვეთა⁶

აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით ქვემო ქართლის რეგიონში საკმაოდ დიდი პრობლემა იყო, რადგან ძირითადად ეთნიკურ უმცირესობებში, ხშირად ხდებოდა არასრულწლოვანი გოგონებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა ცოლად შერთვის მიზნით. მკაცრი სასჯელის გამო დანაშაულმა არსებითად იკლო, თუმცა 2016 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით სსკ-ის 143-ე მუხლზე სულ გამოძიება დაინიშნა 10 საქმეზე, საიდანაც რუსთავის საქალაქო სასამართლოში განხილულ იქნა 2 საქმე თავისუფლების უკანონო აღკვეთის თაობაზე და ორივე შემთხვევაში მოხდა საპატიმრო სასჯელის განსაზღვრა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სიდა“ სსკ-ის 143-ე მუხლთან დაკავშირებით ორ არასრულწლოვან გოგონას უწევდა იურიდიულ დახმარებას. დაზარალებულებიდან ერთს ჰქონდა მკვეთრად გამოხატული პოზიცია, რომ მას არ სურდა „გათხოვება“ და უნდოდა სწავლის გაგრძელება. საქმეზე ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, თუმცა წინა სასამართლო სხდომაზე აღიარა დანაშაული და პატიმრობა გირაოთი შეიცვალა. სსკ-ის 140-ე მუხლისგან განსხვავებით, ბრალდების მხარე რეალური სასჯელის გარეშე თითქმის არ აფორმებს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმებას პირობით მსჯავრზე, ამ შემთხვევაშიც საპროცესო შეთანხმებით მოხდა პატიმრობის განსაზღვრა.


მეორე შემთხვევაში, დაზარალებულ გოგონას არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია. მიუხედავად ფსიქოლოგის ჩართულობისა, მას საკმაოდ გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება განეცხადებინა თუ არა თანხმობა ბრალდებულის მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. მშობლების თანდასწრებით უარს აცხადებდა, ხოლო მშობლების გარეშე ამბობდა, რომ ეცოდებოდა ბრალდებული და არ უნდოდა გაეწირა სასჯელისთვის, ამასთან აღნიშნავდა იმასაც, რომ მოტაცება იყო გარკვეული ტრადიცია, თუმცა მას არ უნდოდა ბრალდებულის ცოლობა რადგან „დიდად არ მოწონდა“.

ამ მხრივ, მიუხედავად გამკაცრებული სასჯელებისა, მაინც დაბალია ცნობიერების დონე ქვემო ქართლის რეგიონში და როგორც „სიდას“ გასვლითი

⁶ სისხლის სამართლის კოდექსის -143ე მუხლით წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის თავისუფლების უკანონო აღკვეთა ისჯება თავისუფლებს აღკვეთით -7დან 10 წლამდე ვადით.

შეხვედრებისას გამოიკვეთა, იყო შემთხვევებიც, რომელზეც არ დაწყებულა გამოძიება, რადგან არასრულწლოვნის ოჯახებს საჩივარი არ შეუტანიათ.

ცხრილი № 7 არასრულწლოვანთა თავისუფლების უკანონო აღკვეთის მაჩვენებელი



3. რეკომენდაციები:

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- 1.1. უნდა შეიცვალოს მოძალადეთა მიმართ არსებული მიდგომა და აუცილებელია გარკვეული პერიოდულობით, (განისაზღვროს გონივრული ვადა) მოძალადეს ჰქონდეს ვალდებულება გამოცხადდეს პოლიციაში, რაც იქნება განმეორებითი ძალადობის ჩადენის შემაკავებელი ფაქტორი. ამ მიზნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁵ მუხლით განსაზღვრულ დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ საკითხებს უნდა დაემატოს მოძალადის პოლიციაში გარკვეული პერიოდულობით გამოცხადების ვალდებულება.
- 1.2. “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლს, რომლითაც განსაზღვრულია პოლიციის მოვალეობები, უნდა დაემატოს ჩანაწერი პოლიციის მხრიდან მოძალადის ქცევის კონტროლის პერიოდულობაზე და ფორმაზე, რაც შეცვლის დღეს არსებულ პრაქტიკას (როდესაც მოძალადეზე ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ მსხვერპლის გამოკითხვით) და დაამკვიდრებს მოძალადესთან პირდაპირი კომუნიკაციით მისი კონტროლის წესს.

2. პროკურატურას:

- 2.1 უნდა შეიცვალოს 16 წელს მიუღწეველთან სექსობრივი კავშირის შემთხვევებზე (სსკ 140–ე მუხლი) რეაგირების არსებული პრაქტიკა. ბრალდებულები, რომლებიც აგრძელებენ არასრულწლოვანთან ცხოვრებას, რითიც ფაქტობრივად გრძელდება დანაშაული, არ უნდაიხდიდნენ ჯარიმას; მის ნაცვლად დამატებითი სასჯელის სახით შესაძლებელია განსაზღვრული იყოს საზოგადოებისათვის

სასარგებლო შრომა, ან რეალური სასჯელის განსაზღვრა, რაზეც დამატებით კვლევა და მსჯელობაა საჭირო.

- 2.2** ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმებაზე დაზარალებულის თანხმობა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. საპროცესო შეთანხმებაუნდა გაფორმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულს გააზრებული აქვს საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი შედეგები.
-

3. სასამართლოს:

- 3.1** ოჯახში ძალადობისა და ნაადრევი ქორწინების შემთხვევებზე სასჯელის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ საფრთხეებისა და რისკების გათვალისწინებით, რაც შეიძლება გამოიწვიოს სასჯელმა.
-

4. საქართველოს კარლამენის:

- 4.1.** სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის სავალდებულობა შემაკავებელ და დამცავ ორდერებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში უნდა გაინეროს კანონში. ამით თავიდან იქნება აუცილებელი მსხვერპლთა მიმართ განმეორებითი ძალადობა, ასევე სხვა მძიმე შედეგები, რადგან მოძალადეს დაენიშნება იძულებითი მკურნალობა.
-

5. სოციალურ სამსახურს:

- 5.1.** უნდა დაინერგოს მოძალადეთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის
-

კონკრეტული მოდელი ადმინისტრაციულ წარმოებაში. რაც არსებობდა შეამცირებს განმეორებითი ძალადობის შემთხვევებს.

- 5.2.** უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსხვერპლთა რეაბილიტაციის მხრივ თავშესაფარში და, მეორეს მხრივ თავშესაფარში წაუსვლელად, რადგან სხვა შემთხვევაში დამცავი ორდერის მოქმედება არ იქნება ეფექტიანი.

6. განათლების სამინისტროს:

- 6.1** გაამკაცროს კონტროლი სკოლების ადმინისტრაციებსა და მასწავლებლებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნაადრევი ქორწინების შემთხვევაში შეტყობინების ვალდებულების რეალურად განხორციელება.
- 7.** რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოებსა და თვითმმართველობებს:
- 7.1.** უნდა განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების კამპანია, ნაადრევი ქორწინების, ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე. ამ მიზნით ადგილობრივი მედიის გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის ინტენსიური მიწოდებისთვის. კამპანიები უნდა იყოს ხშირი და მოიცავდეს, პირველ რიგში, სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს.

რაც შეეხება სკოლების როლს ამ პროცესში, როგორც საინფორმაციო შეხვედრებმა გვაჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ, ამგვარი შემთხვევების გამოვლენისას, შეტყობინება გააგზავნონ შესაბამის უწყებებში, პრაქტიკა აჩვენებს, რომ რეალურად ეს მექანიზმი არ მუშაობს და შეტყობინება სწორედ სამოქალაქო რეესტრიდან კეთდება.



გენდერული ნიშნით ძალადობა ევროპო ქართლში

ოჯახში ძალადობა, ნადრევი ქორწინება, დისკრიმინაცია